



Projektas yra bendrai finansuojamas iš Prieglobsčio, migracijos ir integracijos fondo 2014–2020 metų nacionalinės programos lėšų



**PMIF**  
Prieglobsčio, migracijos ir integracijos fondas

## ინფორმაცია თავშესაფრის მთხოვნელებს

თქვენ წარმოადგინეთ თხოვნა თავშესაფრის მინიჭების შესახებ ლიტვის რესპუბლიკაში, რადგან ფიქრობთ, რომ არ შეგიძლიათ სამშობლოში დაბრუნება დევნის, ომის ან ძალადობის საფრთხის გამო. თხოვნის წარმოდგენის მომენტიდან თქვენ ხართ თავშესაფრის მთხოვნელი, ეს თქვენ განიჭებთ ზოგიერთ სპეციალურ უფლებებს, თუმცა არ განთავისუფლებთ მოვალეობისგან დაემორჩილოთ ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციას, კანონს და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს. ამ ბუკლეტში წარმოდგენილია თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, გთხოვთ გაეცნოთ მას.

### შუამდგომლობის განხილვაზე პასუხისმგებლობა.

ის, რომ თქვენ შუამდგომლობთ ლიტვაში თავშესაფრის მოპოვებაზე, არ იძლევა იმის გარანტიას, რომ აქ განვიხილავთ თქვენს თხოვნას. თუ თქვენ გყავთ ოჯახის წევრი ევროკავშირის სხვა ქვეყანაში, ჩამოხვედით ლიტვაში სხვა ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან ან წარსულში გქონდათ ასეთი ქვეყნის ვიზა ან იქ ცხოვრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მაშინ შესაძლებელია ის ქვეყანა იყოს პასუხისმგებელი განიხილოს თქვენი შუამდგომლობა თავშესაფრის მოპოვების შესახებ. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მიღებული იქნას გადაწყვეტილება, რომ არ იქნას განხილული თქვენი თხოვნა და თქვენ გადაეცემით თქვენზე პასუხისმგებელ ქვეყანას, რომელიც განიხილავს თქვენს თხოვნას (დაწვრილებითი ინფორმაცია პასუხისმგებელი ქვეყნის დადგენაზე მოწოდებულია სხვა სპეციალურ ბუკლეტში). თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომ თქვენი თავშესაფრის მოპოვების შესახებ შუამდგომლობას განიხილავს ლიტვა, ეს ნიშნავს, რომ შეგიძლიათ დარჩეთ ლიტვაში, ხოლო თქვენი შუამდგომლობა განხილული იქნება აქ. ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაიწყება თქვენი შუამდგომლობის განხილვის პროცესი.



### როდის და როგორ შევძლებ განვმარტო რატომ ვითხოვ თავშესაფარს?

იმ დაწესებულების თანამშრომელი, რომელშიც თქვენ წარმოადგინეთ თავშესაფრის შესახებ თხოვნა, დაუყოვნებლივ ჩაატარებს პირველად გამოკითხვას, ასევე გამოგართმევთ თქვენს ხელთ არსებულ დოკუმენტებს,

აიღებს თქვენს თითის ანაბეჭედებს და გადაგიღებთ ფოტოსურათს. პირველადი გამოკითხვის მიზანია შეგროვდეს ინფორმაცია თქვენზე და ასევე თქვენთან ერთად ლიტვაში ჩამოსულ ოჯახის წევრებზე, მარშრუტზე, რომლითაც მოხვდით ლიტვაში, შეგროვდეს მონაცემები, რომლითაც დადგინდება, თუ რომელი ევროკავშირის ქვეყანაა პასუხისმგებელი განიხილოს თქვენი შუამდგომლობა თავშესაფრის მოპოვების შესახებ, ასევე გაირკვეს მოტივი, თუ რატომ მოითხოვეთ თავშესაფარი და რა სამართლებრივ მდგომარეობაში ხართ სხვა სახელმწიფოებში.

სანამ მიღებული იქნება გადაწყვეტილება თავშესაფრის მინიჭების შესახებ მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელი შეგხვდებათ თქვენ რათა ჩაატაროს ძირითადი გამოკითხვა (გასაუბრება), რომლის მიზანია მოგეცეთ საშუალება დაწვრილებით განმარტოთ ის მოტივი, რის გამოც ითხოვეთ თავშესაფარს, ასევე წარმოადგინოთ მონათხრობის დამადასტურებელი ყველა თქვენს ხელთ არსებული ის დოკუმენტი, რომელიც მანამდე არ გქონდათ წარდგენილი. მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელს, რომელიც ჩაატარებს ამ გამოკითხვას, ექნება საშუალება პირადად თქვენგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა შესაფასდეს - შეესატყვისებით თუ არა ლიტვის კანონმდებლობით დადგენილ იმ საფუძვლებს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია თავშესაფრის მინიჭება, ასევე შეაგროვოს მონაცემები, რომელიც საჭიროა თავშესაფრის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. საჭიროების შემთხვევაში მიგრაციის დეპარტამენტი ორგანიზებას გაუკეთებს თქვენს დამატებით გამოკითხვას.

გამოკითხვის მთელი პროცესის მანძილზე, საჭიროების შემთხვევაში თქვენ გაქვთ უფლება უფასოდ ისარგებლოთ თარჯიმნის მომსახურებით.

## ვინ განიხილავს და როგორ განიხილება ჩემი თხოვნა?

ლიტვის რესპუბლიკის კანონმდებლობით, იქამდე, სანამ მიღებული იქნება გადაწყვეტილება თავშესაფრის მინიჭების შესახებ, აუცილებელია ჩატარდეს ვრცელი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება. თავშესაფრის მინიჭების შესახებ თხოვნის განხილვა რთული ადმინისტრაციული პროცედურაა, რომელიც დეტალურად აღწერილია კანონმდებლობაში. თქვენი თხოვნის განხილვას და გადაწყვეტილებას თავშესაფარის მინიჭებაზე მიიღებს მიგრაციის დეპარტამენტი. მიგრაციის დეპარტამენტი შეამოწმებს თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და შეაგროვებს დამატებით ინფორმაციას იმ გარემოებებზე, რომლებზეც თქვენი თხოვნაა დაფუძნებული. მას შემდეგ, რაც იქნება შეგროვებული ყველა საჭირო ინფორმაცია, მიგრაციის დეპარტამენტი შეაფასებს შესაძლებელია თუ არა ლიტვის კანონმდებლობით მოგენიჭოთ თავშესაფარი და მიიღებს გადაწყვეტილებას. თქვენ მიიღებთ მიგრაციის დეპარტამენტის მიერ თქვენს მიმართ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას.

## სად შემიძლია ცხოვრება, სანამ ველოდები მიგრაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებას?

სანამ მიმდინარეობს თქვენი თხოვნის განხილვა, გაქვთ უფლება იყოთ ლიტვაში.

თუ თხოვნა წარმოადგინეთ სასაზღვრო საკონტროლო პუნქტში ან ტრანზიტულ ზონაში, ზოგიერთ შემთხვევაში მიგრაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებას თქვენს თხოვნაზე უნდა დაელოდოთ იქ, სადაც წარმოადგინეთ თხოვნა. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, თუ თქვენ მოისურვებთ, შესაძლებელია მოგეცეთ საშუალება თქვენი ხარჯებით იცხოვროთ თქვენს მიერ არჩეულ ადგილას ლიტვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში ვალდებული ხართ ამის შესახებ წერილობით აცნობოთ მიგრაციის დეპარტამენტს. თუ არ შეგიძლიათ საკუთარი ხარჯებით ცხოვრება ლიტვის რესპუბლიკაში, მაშინ მიგრაციის დეპარტამენტი დაგასახლებთ თავშესაფრის მთხოვნელებისთვის განკუთვნილ ცენტრში, სადაც გექნებათ როგორც ცხოვრების, ასევე კვების შესაძლებლობა, შემღებთ მიიღოთ ფულადი დახმარება წერილმანი ხარჯებისთვის, მიიღოთ სავალდებულო სამედიცინო დახმარება, ფსიქოლოგის დახმარება და სოციალური მომსახურება. თუ იქნება დადგენილი, რომ ზოგიერთი პირადი თვისებების და გარემოებების გამო (ინვალიდობა, სოციალურად დაუცველობა და ასე შემდეგ) გესაჭიროებათ სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება, მაშინ თქვენთვის შეიქმნება ასეთი მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი გარემო.

## მიიღებს თუ არა ადვოკატი მონაწილეობას ჩემი გამოკითხვისას?

თუ გაქვთ სურვილი, მიგრაციის დეპარტამენტის ან/და სხვა სახელმწიფო დაწესებულების მუშაკთან საუბრისას, შეგიძლიათ გამოიძახოთ თქვენი ინტერესების დამცველი ადვოკატი. თუ გაქვთ სურვილი, რომ თქვენი გამოკითხვის დროს მასში მონაწილეობა მიიღოს ადვოკატმა, მაგრამ არ გაქვთ ადვოკატის დაქირავების საშუალება, მიაწოდეთ ეს ინფორმაცია იმ დაწესებულებას, რომელიც აწარმოებს თქვენს გამოკითხვას. ასეთ შემთხვევაში ადვოკატის მომსახურება თქვენ გაგეწევთ უფასოდ. უფასო სასამართლო დახმარების მოთხოვნით ასევე შეგიძლიათ თავად მიმართოთ ასეთი მომსახურების გამწევ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ეხმარება თავშესაფრის მომთხოვნებს, მაგალითად ლიტვის წითელ ჯვარს, რომლის საკონტაქტო მონაცემები მითითებულია ამ ბუკლეტში. გაფრთხილებთ, რომ ადვოკატის მონაწილეობა არ განთავისუფლებთ თქვენ მოვალეობისგან პირადად მიიღოთ მონაწილეობა გამოკითხვაში და წარმოადგინოთ ყველა საჭირო ინფორმაცია.

## ვალდებული ვარ თუ არა მიუთითო რა თანხა მაქვს თან?

დიახ, თავშესაფრის შესახებ თხოვნის წარმოდგენისას ვალდებული ხართ მიუთითოთ რა თანხა გაქვთ თან, ასევე თანხის მიღებიდან სამი დღის განმავლობაში წერილობით მიაწოდოთ ინფორმაცია მიგრაციის დეპარტამენტს ყველა მიღებული (გადმორიცხული) თანხის შესახებ (თავშესაფრის მთხოვნელის ფულადი დახმარების გარდა). თუ დადგინდა, რომ გაგაჩნიათ საკმარისი სახსრები იმისთვის, რომ გადაიხადოთ იმ მომსახურების ხარჯები, რომელიც თქვენ უფასოდ გაგეწიათ (დაბინავების და სამართლებრივი დახმარების ჩათვლით) მაშინ ვალდებული ხართ დაფაროთ სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები.

## რამდენ ხანში იქნება მიღებული გადაწყვეტილება?

ჩვეულებრივ მიება თავშესაფრის თხოვნის შესახებ სრულდება და გადაწყვეტილება მიიღება არაუგვიანეს სამი თვისა შუამდგომლობის წარმოდგენის მომენტიდან. თუ მიგრაციის დეპარტამენტს დაჭირდება დამატებითი დრო იმისთვის, რომ შესაბამისად შეაფასოს თქვენი თხოვნა, მაშინ თქვენ ამის შესახებ დაუყოვნებლივ იქნებით ინფორმირებული.

## ითანამშრომლეთ მიგრაციის დეპარტამენტთან

მიგრაციის დეპარტამენტის მიერ შესრულებული გამოძიების ხარისხი და მართებული გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია არა მარტო მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლების პროფესიონალიზმზე, არამედ თქვენს ძალისხმევაზე დაასაბუთოთ თქვენი თხოვნა. გახსოვდეთ, რომ ეს თქვენ მოგვმართეთ თხოვნით გაგიწიოთ დახმარება, ამიტომ ჩვენ თქვენგან ველოდებით კეთილგანწყობას, მოთმინებას და ლიტვის კანონმდებლობის პატივისცემას. გამოძიების დროს თქვენ ვალდებული ხართ ითანამშრომლოთ მიგრაციის დეპარტამენტთან, დანიშნულ დროს მოხვიდეთ გასაუბრებაზე, მოყვეთ სიმართლე იმის შესახებ, თუ რატომ ითხოვთ თავშესაფარს და რაც შეიძლება დროულად მოგვაწოდოთ ყველა თქვენს ხელთ არსებული ის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს თქვენს მონაყოლს. თუ თქვენ ვერ წარმოადგენთ ვერანაირ დოკუმენტს, მაშინ მიგრაციის დეპარტამენტი აწონ-დაწონის თქვენს მონაყოლს და შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება მოგანიჭოთ თავშესაფარი, თუ თქვენი მონაყოლი არის დეტალური, თანმიმდევრული, არ არის ურთირთსაწინააღმდეგო და არის დამაჯერებელი. თუ გამოძიების დროს თქვენ არ ითანამშრომლებთ მიგრაციის დეპარტამენტთან, არ გამოცხადდებით გასაუბრებაზე, ან/ და გამოკითხვის დროს უარს იტყვით დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე, დამალავთ მნიშვნელოვან ინფორმაციას ან დოკუმენტს, წარმოადგენთ ყალბ დოკუმენტებს ან ინფორმაციას, რომელიც არ შეესაბამება სიმართლეს და სხვა საშუალებებით შეუშლით ხელს მიგრაციის დეპარტამენტს შესატყვისად აწარმოოს გამოძიება, შესაძლოა სრულიად საფუძვლიანად მიგრაციის დეპარტამენტი უნდობლობით განეწყოს თქვენს მიმართ და ამის საფუძველზე უარი თქვას თქვენთვის თავშესაფრის მინიჭებაზე.

## დამატებითი გამოძიება

თუ მიგრაციის დეპარტამენტს გაუჩნდება ეჭვი თქვენს ასაკთან ან ოჯახურ კავშირთან თქვენთან ერთად ჩამოსულ ან ლიტვაში მცხოვრებ პიროვნებასთან დაკავშირებით, შესაძლებელია შემოგთავაზონ ასაკის ან ოჯახური კავშირის დადგენის გამოკვლევის ჩატარება. ასეთი გამოკვლევა შესაძლებელია ჩატარდეს თქვენი თანხმობით, თუმცა მასზე უარის თქმა შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს თქვენი მონაყოლის შეფასებაზე. თუ თქვენი თავშესაფრის შესახებ თხოვნა ეფუძნება წარსულში განცდილ ფიზიკურ ძალადობას, მიგრაციის დეპარტამენტმა შესაძლებელია შემოგთავაზოთ ჩაიტაროთ სამედიცინო შემოწმება, რომელიც ასევე თქვენი თანხმობით



უნდა ჩატარდეს. თუ მიგრაციის დეპარტამენტმა არ შემოგთავაზათ მსგავსი სამედიცინო შემოწმების ჩატარება, მაგრამ თქვენ ფიქრობთ, რომ ასეთმა გამოკვლევამ შესაძლებელია დაადასტუროს თქვენი მონაცემები, მაშინ თქვენ გაქვთ უფლება საკუთარი ინიციატივითა და ხარჯებით ჩაიტაროთ ეს შემოწმება და მისი შედეგი წარუდგინოთ მიგრაციის დეპარტამენტს.

## ვისთვის იქნება გამხელელი ჩემს მიერ თხოვნაში მოწოდებული ინფორმაცია?

გადაწყვეტილებას თავშესაფრის მინიჭების შესახებ შუამდგომლობასთან დაკავშირებით იღებს მიგრაციის დეპარტამენტი, თუმცა თავშესაფრის მინიჭების პროცედურაში მონაწილეობენ ლიტვის რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიც, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში გაემხილება თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია. თუმცა ეს ინფორმაცია არ იქნება საზოგადოდ გაცხადებული და არ გადაეცემა თქვენს ქვეყანას, არ იქნება გამხელელი არც ის, რომ თქვენ ითხოვთ თავშესაფარს ლიტვის რესპუბლიკაში და არც ის მოტივი, თუ რატომ ითხოვთ თავშესაფარს. ამ ინფორმაციას არ გაამჟღავნებს არც მიგრაციის დეპარტამენტი, არც სხვა სახელმწიფო დაწესებულება და არც თარჯიმანი და არც ადვოკატი, რომელიც თქვენ გეხმარებათ. ყველა ჩამოთვლილი პიროვნება ვალდებულია დაიცვას თქვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალურობა. მისი გამხელისთვის მათთვის კანონით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

## შემიძლია თუ არა მუშაობა ან სწავლა სანამ განიხილება ჩემი თხოვნა?

თავშესაფრის შესაებ თხოვნის განხილვის დროს თქვენ არ შეგეძლება თუ მუშაობა, რადგან მართო თხოვნის წარმოდგენა არ იძლევა ამის უფლებას. თუ თქვენ გყავთ არასრულწლოვანი ბავშვი ან თავად ხართ არასრულწლოვანი, მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ არასრულწლოვან თავშესაფრის მომთხოვნს აქვს უფლება იაროს სკოლაში ან პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში. იმისთვის, რომ გამოიყენოთ ეს შესაძლებლობა, მიმართეთ იმ ცენტრის სოციალურ თანამშრომელს, რომელშიც საცხოვრებლად ხართ განთავსებული ან თავშესაფრის მთხოვნელების დამხმარე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს.

## დაელოდეთ მიგრაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებას თქვენს თხოვნაზე.

თუ გამოძიების მიმდინარეობის დროს თქვენ დატოვებთ ლიტვის რესპუბლიკას ან მიგრაციის დეპარტამენტი ვერ შეძლებს თქვენთან დაკავშირებას სხვა მიზეზის გამო, მაშინ თქვენი თხოვნის განხილვა იქნება შეჩერებული. ეს ნიშნავს, რომ მიგრაციის დეპარტამენტი ვერ შეძლებს დაასრულოს ძიება და მიიღოს გადაწყვეტილება თქვენ თხოვნასთან დაკავშირებით. მოგვიანებით თქვენი თხოვნის განხილვა შესაძლებელია შეწყვეტილ იქნას, ასეთ შემთხვევაში განხილვის განახლების შესაძლებლობა არ იქნება შესაძლებელი მიუხედავად

თქვენი სურვილისა, ხოლო ნებისმიერი ახალი თხოვნა თავშესაფრის მინიჭების შესახებ ჩაითვლება მომდევნო თხოვნად და შესაძლებელია განხილულ იქნას გამკაცრებული წესით. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენ გესაჭიროებათ თავშესაფარი, მაშინ დაელოდეთ მიგრაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებას. თუ თქვენ არ დაელოდებით მიგრაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებას და მოითხოვთ თავშესაფარს ევროკავშირის სხვა რომელიმე ქვეყანაში, მაშინ იმ ქვეყანამ შესაძლებელია დაგაბრუნოთ ლიტვაში, რათა აქ დასრულდეს თქვენი თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვა.

თუ აღარ გსურთ თავშესაფარი ლიტვის რესპუბლიკაში, გთხოვთ ამის შესახებ წერილობით აცნობოთ მიგრაციის დეპარტამენტს. ასეთ შემთხვევაში თქვენი თხოვნის განხილვა აღარ გაგრძელდება და თქვენ უნდა დაბრუნდეთ სამშობლოში.

## რა გავაკეთო თუ არ ვეთანხმები მიგრაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებას?

თუ თქვენ არ ეთანხმებით გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღო მიგრაციის დეპარტამენტმა, მაშინ ეს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 14 დღის განმავლობაში შეგიძლიათ გაასაჩივროთ ვილნიუსის მაზრის ადმინისტრაციულ სასამართლოში. მნიშვნელოვანია, რომ საჩივარი წარადგინოთ მითითებული დროის მონაკვეთში. ამ პროცედურის დროს გაქვთ როგორც სამართლებრივი, ასევე, თუ საჭიროა, თარჯიმნის დახმარების უფლება. სამართლებრივი დახმარება ნიშნავს იმას, რომ გაქვთ უფლება გყავდეთ ადვოკატი, რომელიც მოამზადებს თქვენს დოკუმენტებს და იქნება თქვენი წარმომადგენელი სასამართლოში. თუ გსურთ გადაწყვეტილების გასაჩივრება, მაგრამ ადვოკატის დაქირავების საშუალება და სახსრები არ გააჩნიათ, მიმართეთ მიგრაციის დეპარტამენტს.

## შემიძლია თუ არა გავასაჩივრო გადაწყვეტილება ჩემი დაკავების შესახებ?

მიგრაციის დეპარტამენტი არ იღებს გადაწყვეტილებას დაკავებაზე და არ წყვეტს დაკავების საკითხს. თუ ხართ დაკავებული, ე.ი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ და მხოლოდ სასამართლოს შეუძლია მისი შეცვლა. თუ თქვენ არ ეთანხმებით სასამართლოს გადაწყვეტილებას იყოთ დაკავებული, გაქვთ უფლება დადგინოთ წესით მიაწოდოთ საჩივარი ასეთ გადაწყვეტილებაზე ლიტვის უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოს. თუ თქვენი დაკავება იყო საფუძვლიანი, თუმცა ფიქრობთ, რომ დაკავების საფუძველი უკვე გაქარწყლდა და აღარ არსებობს, ასევე გაქვთ უფლება მიმართოთ საოლქო სასამართლოს თქვენი ადგილსამყოფელის მიხედვით და მოითხოვოთ განმეორებით შეაფასდეს გადაწყვეტილება თქვენი დაკავების შესახებ. ამ პროცედურის დროს თქვენ გაქვთ უფლება გყავდეთ ადვოკატი და ასევე საჭიროების შემთხვევაში გაქვთ თარჯიმნის დახმარების უფლება. თუ გსურთ მიმართოთ სასამართლოს დაკავების საკითხზე და არ გაქვთ ადვოკატის დაქირავების თანხა, მაშინ მიმართეთ მიგრაციის დეპარტამენტს.

## მნიშვნელოვანი კონტაქტები:

### მიგრაციის დეპარტამენტი

ლ. საპიგოს ქ. N 1, 10312 ვილნიუსი ტელ.  
+370 5 271 7112

ელ.ფოსტა: [md.rastine@vrm.lt](mailto:md.rastine@vrm.lt)  
<http://www.migracija.lt>

### უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რეგისტრაციის ცენტრი

ვილნიუსის ქ. N 100, 18177 პაბრადე,  
შვენიონისის რ-ნი.

ტელ. +37038753401

ელ. ფოსტა: [urc.sekretore@vsat.vrm.lt](mailto:urc.sekretore@vsat.vrm.lt)

### ლტოლვილთა მიღების ცენტრი

კარალიაუს მინდაუგოს ქ. N 18, 55283  
იონავოს რაიონი, რუკლა

ტელ. +370 3 497 3377; +370 698 48776

ელ.ფოსტა: [centras@rppc.lt](mailto:centras@rppc.lt)  
<http://www.rppc.lt>

### დეენილთა საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი კომისრის

ბიუროს წარმომადგენლობა (UNHCR)  
ლიტვის რესპუბლიკაში

ა. იაკშტოს ქ. N 12, 01105 ვილნიუსი

ტელ. +370 5 210 7416

ელ.ფოსტა: [kules@unhcr.org](mailto:kules@unhcr.org)

<http://www.unhcr.se/lt/home.html>

(UNHCR) ორგანიზაციას შეუძლია  
მოაწოდოს ინფორმაცია და მოგვცეთ  
რჩევა თავშესაფრის პროცედურაზე და იმ  
დახმარებაზე რომელიც ეწევა თავშესაფრის  
მთხოვნელებსა და დევნილებს ლიტვის  
რესპუბლიკაში.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის  
(IOM) ვილნიუსის ბიურო

ა. იაკშტოს ქ. N 12, 01105 ვილნიუსი  
ტელ. +370 5 261 0115

ელ.ფოსტა: [iomvilnius@iom.lt](mailto:iomvilnius@iom.lt)  
<http://www.iom.lt>

(IOM)

ორგანიზაცია ახორციელებს საკუთარი  
ნება-სურვილით დაბრუნებას, რომელიც  
შეესატყვისება უცხოელის მოთხოვნებს და  
უზრუნველყოფს მის უსაფრთხო მგზავრობას  
სახლში. უცხოელებს, რომლებმაც  
ესაჭიროებათ მხარდაჭერა სამშობლოში, ასევე  
ეწევა სარეინტეგრაციო დახმარება.

### ლიტვის წითელი ჯვარის ამხანაგობა

ა. იოზაპავიჩიუსის ქ. N 10A, 09316

ვილნიუსი

ტელ. +370 5 212 7322; მობილური ტელ. +370  
686 30 050

ელ.ფოსტა: [info@redcross.lt](mailto:info@redcross.lt)

<http://www.redcross.lt>

ლიტვის წითელი ჯვარის ამხანაგობა  
ახორციელებს სამართლებრივ და  
ჰუმანიტარულ დახმარებას, ასევე ეხმარება  
ოჯახის წევრებისა და ახლობლების პოვნაში.

ვილნიუსის საარქივისკოპოსო “Caritas“-ი  
ოდმინიუს ქ. N 12, 01122 ვილნიუსი

ტელ. +370 5 261 1014

ელ.ფოსტა: [info@vilnius.caritas.lt](mailto:info@vilnius.caritas.lt)

<http://www.vilnius.caritas.lt>

## სად არის დადგენილი რა უფლებები და მოვალეობები აქვს თავშესაფრის მომთხოვნს?

თავშესაფრის მომთხოვნის ძირითადი უფლებები და მოვალეობები,  
რომელიც მოყვანილია ამ ბუკლეტში დადგენილია ლიტვის რესპუბლიკის  
კანონით „უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ 71 მუხლი  
1-3 ნაწილი:

71 მუხლი. თავშესაფრის მომთხოვნის უფლებები და მოვალეობები ლიტვი რესპუბლიკაში

1. თავშესაფრის მომთხოვნს ლიტვის რესპუბლიკაში აქვს შემდეგი უფლებები
- 1) ლიტვის რესპუბლიკის ინსტანციების მიერ გამოყოფილ საცხოვრებელ ადგილზე, დაკავების ადგილზე, სასაზღვრო საკონტროლო პუნქტში ან ტრანზიტულ ზონაში ცხოვრებისას ისარგებლოს მიღების მატერიალური პირობებით.
- 2) უფასოდ მიიღოს ინფორმაცია თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვის დროს მის უფლებებსა და მოვალეობებზე და ასევე იმ შედეგებზე, რომელიც მოყვება მათ არშესრულებას, ასევე მიიღოს ინფორმაცია რომელიც დაკავშირებულია თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვასთან.
- 3) მოაწესრიგოს და ნოტარიული წესით გააფორმოს დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვასთან.

- 4) შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გამოიყენოს სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სამართლებრივი დახმარება.
  - 5) მიიღოს კომპენსაცია საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისთვის, თუ ეს მგზავრობა დაკავშირებულია თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვასთან.
  - 6) უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით.
  - 7) უფასოდ მიიღოს სავალდებულო სამედიცინო დახმარება, ფსიქოლოგიის დახმარება და სოციალური მომსახურება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ცენტრში ან დევნილების მიღების ცენტრში.
  - 8) შრომის და სოციალური დაცვის მინისტრის და შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ყოველთვიურად მიიღოს ფულადი თანხა სახელმწიფოს მიერ დახმარების შემოსავლის 10 პროცენტის ოდენობით.
  - 9) შეზღუდვებზე ან მიმართონ დევნილთა საკითხებში გაერთიანებული ერების უმაღლეს კომისარის საბჭოს ან/და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც უწყვეტ სპეციალიზირებულ სამართლებრივ დახმარებას ან კონსულტაციას თავშესაფრის მომთხოვნებს და მათი ინტერესების დამცველებს პრივატულობის დაცვის პირობებში (სასაზღვრო საკონტროლო პუნქტის და/ან სატრანზიტო ზონის ჩათვლით).
  - 10) დაუცველმა პიროვნებებმა ისარგებლონ სპეციალური მოთხოვნების შესატყვისი პირობებით.
  - 11) ისარგებლონ სხვა პირობებით და უფლებებით, რომელიც მათ გარანტირებული აქვთ ლიტვის რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეწყობებით, კანონმდებლობით და სხვა სამართლებრივი აქტებით.
2. არასრულწლოვან თავშესაფრის მომთხოვნე აქვს უფლება ისწავლოს საერთო აღმზრდელობითი ან პროფესიული სწავლების პროგრამით განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით. ამ უფლების უზრუნველყოფა ხორციელდება დაუყოვნებლივ და არა უგვიანეს 3 თვის განმავლობაში თავშესაფრის მინიჭების შესახებ თხოვნის წარდგენიდან. თუ არასრულწლოვანი თავშესაფრის მომთხოვნი დაიწყებს სწავლას, მას აქვს უფლება დაასრულოს საერთო აღმზრდელობითი ან პროფესიული სწავლების პროგრამა მაშინაც კი თუ სწავლისას ის სრულწლოვანი გახდა.
  3. თავშესაფრის მომთხოვნის მოვალეობები:
    - 1) დაცვას ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის, კანონის და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები.
    - 2) შესარულოს მიგრაციის დეპარტამენტის და სასამართლო გადაწყვეტილებებში თავშესაფრის მომთხოვნისთვის დადგენილი მოვალეობები;
    - 3) მიცეს ექიმს საშუალება შეამოწმოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა;
    - 4) თავშესაფრის მინიჭების შესახებ თხოვნის განხილვის დროს წარმოადგინოს ყველა მის ხელთ არსებული დოკუმენტი და სიმართლეს შესატყვისი ამომწურავი ინფორმაცია მოტივზე, რის გამოც ითხოვს თავშესაფარს, მის პიროვნებაზე და ასევე ლიტვის რესპუბლიკაში ჩამოსვლის და ყოფნის გარემოებებზე, ითანამშრომლოს კომპეტენტურ დაწესებულებებთან, სახელმწიფო მოსამსახურებებთან და თანამშრომლებთან;
    - 5) სახელმწიფო ორგანოებში ან დაწესებულებაში, რომელშიც წარმოდგენილია უცხოელის თხოვნა თავშესაფრის შესახებ, გამოკითხვის ჩატარების დროს დეკლარირება გაუკეთოს არსებულ თანხას და ლიტვის რესპუბლიკაში არსებულ ქონებას და მიგრაციის დეპარტამენტს თავისუფალი წერილობითი ფორმით დეკლარირება გაუკეთოს ლიტვის რესპუბლიკაში კანონიერად ყოფნის დროს მიღებულ თანხას მისი მიღებიდან სამი დღის განმავლობაში.
    - 6) დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მიგრაციის დეპარტამენტს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ, თუ მიგრაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით მას დართეს ნება იცხოვროს მის მიერ არჩეულ ადგილზე.

სხვა ამ ბუკლეტში მოყვანილია უფლებები და მოვალეობები დადგენილია ამავე კანონის 22 მუხლის 1 ნაწილით, 67 მუხლის 3 ნაწილით, 71 მუხლის 5 ნაწილით, 82 მუხლის 3 ნაწილით, 117 მუხლის 1 ნაწილით, 118 მუხლის 1 ნაწილით ასევე 136 მუხლით,

ამ ბუკლეტში მოყვანილია შემაჯამებელი ინფორმაცია თავშესაფრის შეფარდების პროცედურაზე, თავშესაფრის მომთხოვნის ძირითად უფლებებსა და მოვალეობებზე და იმ შედეგებზე, რომელიც შეიძლება მოყვეს მოვალეობების არშესრულებას. ეს ბუკლეტი არის ინფორმაციული ხასიათის და არ გააჩნია სამართლებრივი დატვირთვა. თუ გასურთ მიიღოთ დამატებითი განმარტებები ბუკლეტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე ან გინდათ გაიგოთ უფრო მეტი თქვენი თხოვნის განხილვის მიმდინარეობაზე, გთხოვთ მიმართოთ მიგრაციის დეპარტამენტს.